



საბანკო საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების მიზანია საქართველოს საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირება, კომერციული ბანკების საიმედოობა და მდგრადობა, შესაძლო რისკის თავიდან აცილება და ამ გზით კომერციული ბანკების მეანაბრეთა და სხვა კრედიტორთა, აგრეთვე, საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ინტერესების მაქსიმალური დაცვა.

საბანკო რეგულირება ფართო ცნებაა და გულისხმობს უფლებამოსილი ორგანოების მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი კონკრეტული წესებისა და ინსტრუქციების შემუშავებასა და გამოცემას, რომელიც განსაზღვრავს საბანკო საქმის განხორციელების სტრუქტურასა და საშუალებებს, ანუ სწორედ ეს მარეგულირებელი ინსტრუქციები ქმნიან ბანკის საქმიანობის გარკვეულ ჩარჩოებს, რომლებიც ხელს უწყობენ საიმედო და ეფექტური საბანკო სისტემის შენარჩუნებას.

ჩვეულებრივ ვითარებაში, საბანკო საქმიანობის ზედამხედველობასა და რეგულირებას ახორციელებს საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო ბანკისთვის ეკონომიკური ნორმატივებისა და ლიმიტების დადგენით და მათი შესრულების კონტროლის განხორციელებით. 2008 წლის 2 ივნისს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გასცა ბრძანება კომერციული ბანკების მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების გაანგარიშებისა და დაცვის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისას კომერციული ბანკებისთვის აწესებს მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებს და მისი დაცვა სავალდებულოა საქართველოში ლიცენზირებული ყველა კომერციული ბანკისა და უცხოური ბანკის ფილიალისთვის. ბანკების მიერ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის დაცვას აკონტროლებს ეროვნული ბანკი.

სათანადო ლიტერატურეს განხილვის საფუძველზე შეიძლება მივიჩნიოთ, რომ საბანკო რეგულირების წარმატებულად წარმართვისთვის აუცილებელია შემდეგი ძირითადი პრინციპები:

— საბანკო რეგულირება უნდა ატარებდეს სისტემურ, საყოველთაო ხასიათს, რათა დროულად შეფასდეს კომერციული ბანკების რეალური ფინანსური მდგომარეობა; გამოვლინდეს გარემოებები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან კრედიტორებისა და მეანაბრეების ინტერესებს და შემოწმდეს ქვეყანაში მოქმედი საბანკო და სავალუტო კანონმდებლობის შესრულება;

— ბანკი ეკონომიკურად სრულიად დამოუკიდებელი ერთეულია, რომელიც საკუთარ თავზე იღებს სრულ პასუხისმგებლობას მუშაობის შედეგებზე. ეკონომიკური დამოუკიდებლობა გამოიხატება შემდეგში: საკუთარი და მოზიდული სახსრების განკარგვის სრული თავისუფლება, კლიენტებისა და მეანაბრეების არჩევანის თავისუფლება, გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩენილი მოგების

განკარგვის თავისუფლება. შესაბამისად ბანკი საკუთარ თავზე იღებს სრულ პასუხისმგებლობას გატარებული ოპერაციების რისკებზედაც;

— ბანკსა და მის კლიენტებს შორის ურთიერთობები წარმოებს საბაზრო ურთიერთობების პრინციპების შესაბამისად, ანუ სესხების გაცემის დროს ბანკი პირველ რიგში ითვალისწინებს მოგების, რისკისა და ლიკვიდურობის საბაზრო კრიტერიუმებს, რადგან „საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესები“ ეწინააღმდეგება მისი საქმიანობის კომერციულ ხასიათს;

— კომერციული ბანკის საქმიანობის რეგულირება ექვემდებარება არა ადმინისტრაციულ, არამედ არაპირდაპირ ეკონომიკურ მეთოდებს, სახელმწიფო არ იძლევა ბრძანებებს, იგი მხოლოდ “თამაშის წესებს” განსაზღვრავს.

ამგვარად, საბანკო რეგულირების ფარგლებში სახელმწიფო, ცენტრალური ბანკის ან მასზე დაქვემდებარებული საეკიპლური ორგანოების მეშვეობით, უზრუნველყოფს ბანკების სტაბილურ და უსაფრთხო ფუნქციონირებას და ებრძვის დესტაბილიზაციური პროცესების გაღრმავებას.

პრაქტიკული თვალსაზრისით, საბანკო რეგულირების მთავარი დანიშნულებაა ქვეყნის საბანკო სისტემის პოტენციალის განსაზღვრა და მისი სრულად გამოყენების ხელშეწყობა, საბანკო სისტემის განვითარებაზე მოქმედი გარეგანი და შიდა ფაქტორების შესწავლის გზით. ამ მიმართულებით, ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი მეთოდია ეფექტიანი საბანკო რეგულირების მექანიზმის ამოქმედება, რომელიც გულისხმობს მკაცრად განსაზღვრული მიზნებისა და მოვალეობების შემუშავებას მექანიზმის შემადგენელი თითოეული რგოლისთვის, კანონით განსაზღვრული მოქმედების თავისუფლებისა და შესაბამისი მატერიალური ბაზის საფუძველზე. უფრო კონკრეტულად, საბანკო რეგულირების მექანიზმში ერთიანდება როგორც საბანკო ზედამხედველობის (დისტანციური ზედამხედველობისა და ადგილზე ინსპექტირების), ისე ბანკის შიგნით არსებული თვითკონტროლის სისტემის ანუ შიდა კონტროლის უმნიშვნელოვანესი ფუნქციები, საბანკო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების ფუნქციებთან ერთად. შიდა ფაქტორები არის უშუალოდ ბანკებში არსებული საკუთარი პოტენციალი, ხოლო გარეგან ფაქტორებში, როგორც წესი, იგულისხმება საერთო გარემო პირობები, ანუ პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი ფაქტორების მთელი კომპლექსი, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს საბანკო პოტენციალის რეალიზაციისთვის სასურველი ატმოსფეროს შექმნა.

მნიშვნელოვანია საბანკო რეგულირების მეთოდური საფუძვლების ანალიზი. ჩემი აზრით, აღნიშნულ პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მეთოდები, რომლებიც საბანკო სფეროში არსებული და პოტენციური პრობლემების დროულად გამოვლენისა და მათ აღმოსაფხვრელად ადეკვატური ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას იძლევა. ამ თვალსაზრისით, რეგული-

რებისა და კონტროლის მეთოდებში გამოყოფილით ე.წ. წინასწარი დიაგნოსტიკის მექანიზმს, რომელიც გულისხმობს მაკროეკონომიკური გარემოს გამოკვლევას სპეციფიკურ ფულად-საკრედიტო მაჩვენებლებთან მიმართებაში. მაკროეკონომიკური ანალიზის საფუძველზე იკვეთება საბანკო სექტორის წინასწარი დიაგნოსტიკის კონტურები, რაც მომავალში უფრო ღრმა გამოკვლევების ჩატარების საშუალებას იძლევა, ხოლო რაც შეეხება მაჩვენებლებს, რომლებიც ქმნიან გარკვეულ წარმოდგენას იმ გარემოზე, რომელშიც ბანკებს უწევთ საქმიანობა, ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან ერთად, როგორიცაა მშპ, ეროვნული შემოსავალი და მათი ზრდის ტემპები, ითვალ-

ისწინებენ შემდეგ სპეციფიკურ ფულად-საკრედიტო მაჩვენებლებსაც: ინფლაციის ტემპები, ფულადი მასის აგრეგატები, საკრედიტო რესურსები, მათი სტრუქტურა და ა.შ. წინასწარი დიაგნოსტიკა განზოგადებული მონაცემების საფუძველზე საბანკო სისტემის განვითარების მიმართულებებისა და პერსპექტივების პროგნოზირების საშუალებას იძლევა, რაც ადვილებს სიტუაციის კონტროლირებას და სრულყოფის ღონისძიებების დასახვას.

კომერციულ ბანკებში ერთ-ერთი განზოგადებული მონაცემია ფულის მასა. ამიტომ მნიშვნელოვანია მისი სტრუქტურის განსაზღვრა. ცხრილში მოცემულია ეროვნული ბანკის მონაცემები 2005 წლიდან დღემდე.

ცხრილი 1

ფულის მასა აგრეგატების მიხედვით პერიოდის ბოლოსათვის

	2005	2006	2007	2008	2009	2010	I 11	II 11	III 11	IV 11	2011	I 12	II 12
მონეტარული აგრეგატი (M3)	1,961.5	2,799.8	4,098.9	4,421.7	4,763.6	6,199.0	5,899.0	6,164.2	6,558.3	7,097.8	7,097.8	6,831.7	7,242.9
მონეტარული აგრეგატი (M2)	1,104.1	1,473.2	2,263.0	1,999.2	2,330.5	2,960.3	2,731.6	2,939.2	3,225.2	3,783.2	3,783.2	3,561.0	3,686.2
მონეტარული აგრეგატი (M1)	1,029.4	1,337.7	1,947.6	1,752.5	2,019.4	2,510.0	2,276.1	2,418.6	2,713.2	3,137.9	3,137.9	2,949.5	3,011.5
ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული (M0)	736.3	827.4	1,152.1	1,082.6	1,229.4	1,373.0	1,183.2	1,248.9	1,343.7	1,439.0	1,439.0	1,276.8	1,344.0
სადეპოზიტო ვალდებულებები (ეროვნულ ვალუტაში)	367.8	645.8	1,110.9	916.7	1,101.1	1,587.3	1,548.3	1,690.4	1,881.5	2,344.2	2,344.2	2,284.2	2,342.2
სადეპოზიტო ვალდებულებები (უცხოურ ვალუტაში)	857.4	1,326.6	1,835.9	2,422.5	2,433.1	3,238.8	3,167.4	3,225.0	3,333.0	3,314.6	3,314.6	3,270.7	3,556.7
M0-ის წილი M2-ში, პროცენტი	66.7	56.2	50.9	54.1	52.8	46.4	43.3	42.5	41.7	38.0	38.0	35.9	36.5
M2-ის წილი M3-ში, პროცენტი	56.3	52.6	55.2	45.2	48.9	47.8	46.3	47.7	49.2	53.3	53.3	52.1	50.9
ღარები მიმოქცევაში	811.4	929.5	1,310.5	1,290.7	1,457.9	1,618.2	1,395.3	1,467.0	1,596.3	1,753.6	1,753.6	1,542.6	1,606.3

თეორიული თვალსაზრისით, საბანკო რეგულირება ითვალისწინებს უწყვეტ, ერთიან ზედამხედველობას ბანკებზე, მათ მიერ ნაქონი ვალდებულებების განხორციელებაზე, მოქმედი მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ინსტრუქციების შესაბამისად, რაც მოიცავს: ლიცენზირების პროცესის, საბანკო ანგარიშგებების წარმოებისა და საზედამხედველო ინსტიტუტების მოთხოვნათა შესრულების კონტროლს ეტაპობრივად. ამასთან, ქვეყანაში საბანკო დისციპლინის განმტკიცებისა და საბანკო სექტორისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საბანკო სექტორის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობა. ის მიიღწევა კომერციული ბანკების ფინანსურ ანგარიშგებათა საჯაროობით, რაც ეხმარება დაინტერესებულ პირებს ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებაში, რაც დადებითად მოქმედებს როგორც ბანკის, ისე საზოგადოების ეკონომიკურ მდგომარეობაზე. აქედან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა 2006 წლის 23 მაისს გასცა ბრძანება კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესის დამტკიცების შესახებ. ამ წესის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკისთვის.

კრიზისული პერიოდის ყველაზე ნათელი მაგალითია კომერციული ბანკების მდგომარეობა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. ამ დროს გარდაუვალი გახდა სახელმწიფოს ჩარევა საბანკო სფეროს ფუნქციონირებაში, რადგან ამ მოვლენამ საჭირო გახდა საფინანსო-საბანკო

სექტორზე საბანკო ასოციაციის საქმიანობის ამოცანების კორექტირება.

ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაციის გაუარესების ფონზე ბანკებისთვის ამ წლებში მთავარი ამოცანაა კრიზისამდელ პერიოდში დაბრუნება. 2009 წელმა აჩვენა, რომ წლის მანძილზე ბანკებისთვის ვალდებულებების სესხების ზრდა სერიოზულ პრობლემებს ქმნიდა, რასაც ემატება ბანკების მსესხებელთა ის ნაწილიც, რომლებიც კონფლიქტურ რეგონებიდან არიან დევნილები ან ეწეოდნენ ეკონომიკურ საქმიანობას.

ცხრილში მოცემულია 2005 წლიდან დღემდე სესხების დინამიკა (ცხრილი 2.).

პოსტკრიზისულ პერიოდის ათვლის წერტილად უნდა ამოვიღოთ ვარდნის ბოლო წერტილიდან. ის გარემოება, რომ 13 თვის შემდეგ საბანკო სისტემა პირველად გავიდა მოგების მაჩვენებელზე, კრიზისის ყველაზე რთული პერიოდის გადალახვის ერთ-ერთი ნიშანია. თუმცა ტენდენციები მანამდეც იყო გამოკვეთილი, როდესაც გასული ზაფხულიდან დაიწყო სადეპოზიტო ბაზის ზრდა ბანკებში. პოსტკრიზისულ პერიოდში გადასვლაზე მიუთითებს სავალუტო ბაზრის სტაბილიზაცია, რაც ეროვნული ბანკის მხრიდან ბაზარზე ჩარევის მნიშვნელოვან შემცირებაშია ასახული.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (ცხრ. 3.) მოცემულია სადეპოზიტო ბაზის მონაცემები 2005 წლიდან დღემდე.

კრიზისამდე პერიოდში საბანკო სექტორის განვითარების ვექტორები რამდენიმე მიმართულებას მოიცავდა:

შიდა კრედიტების სტრუქტურა პერიოდის ბოლოსათვის (მლნ. ლარი)

	2005	2006	2007	2008	2009	2010	I 11	II 11	III 11	IV 11	2011	I 12	II 12
შიდა კრედიტები	2,477.7	3,249.9	5,230.2	6,207.8	5,871.8	6,812.2	6,425.1	6,990.5	7,459.8	8,148.6	8,148.6	8,047.0	8,571.8
მთაწერის წმინდა დავალიანება	627.4	414.8	352.6	-171.3	273.0	161.4	-150.8	-163.9	-214.3	127.0	127.0	-101.0	-197.6
დანარჩენი ეკონომიკის დავალიანება	1,850.2	2,835.1	4,877.5	6,379.1	5,598.8	6,650.8	6,575.9	7,154.3	7,674.1	8,021.6	8,021.6	8,148.0	8,769.3
სესხები ეროვნულ ვალუტაში	436.1	748.4	1,646.4	2,008.5	1,593.8	2,097.7	1,992.4	2,230.9	2,580.0	2,743.2	2,743.2	2,837.5	3,163.2
სესხები უცხოურ ვალუტაში	1,414.1	2,086.7	3,231.2	4,370.6	4,005.0	4,553.1	4,583.5	4,923.5	5,094.1	5,278.3	5,278.3	5,310.5	5,606.2
12 თვეზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები	21.1	21.8	21.2	24.0	24.6	25.7	25.7	26.5	26.4	27.4	27.4	26.8	25.3
12 თვეზე უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები	19.8	18.3	19.3	21.6	22.5	17.5	16.9	16.5	16.1	16.5	16.5	16.6	16.3
12 თვეზე მეტი ვადით ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები	20.2	19.2	20.2	22.2	22.9	20.6	20.3	19.4	19.1	19.3	19.3	19.4	19.3
12 თვეზე მეტი ვადით უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები	15.2	16.0	16.1	16.7	17.1	15.5	15.1	14.4	14.0	14.0	14.0	14.1	14.1

ცხრილი 3

დეპოზიტები პერიოდის ბოლოსათვის (მლნ. ლარი)

	2005	2006	2007	2008	2009	2010	I 11	II 11	III 11	IV 11	2011	I 12	II 12
დეპოზიტები, სულ	1,310.2	2,096.8	3,215.0	3,567.8	3,950.2	5,488.7	5,493.9	5,775.7	6,115.6	6,745.0	6,745.0	6,766.7	7,185.6
ეროვნულ ვალუტაში	396.1	685.5	1,185.0	960.5	1,243.1	1,758.6	1,799.5	2,022.7	2,185.6	2,703.5	2,703.5	2,656.4	2,690.9
უცხოურ ვალუტაში	914.1	1,411.3	2,030.0	2,607.3	2,707.1	3,730.2	3,694.4	3,753.0	3,930.0	4,041.5	4,041.5	4,110.3	4,494.7
ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტების წილი მთლიან დეპოზიტებში %	30.2	32.7	36.9	26.9	31.5	32.0	32.8	35.0	35.7	40.1	40.1	39.3	37.4
უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების წილი მთლიან დეპოზიტებში %	69.8	67.3	63.1	73.1	68.5	68.0	67.2	65.0	64.3	59.9	59.9	60.7	62.6
დეპოზიტები მოთხოვნამდე (ეროვნულ ვალუტაში, საპროცენტო განაკვეთები)	3.2	4.3	6.5	5.4	6.7	5.8	7.0	7.0	6.6	8.0	8.0	6.3	6.5
12 თვეზე ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები	10.0	11.5	11.7	13.3	12.2	10.8	11.6	9.0	12.3	12.3	12.3	12.2	12.1
12 თვეზე მეტი ვადით ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები	12.7	12.7	13.1	13.9	13.6	13.0	13.9	14.0	13.9	14.0	14.0	13.7	13.7
სულ ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები	6.6	7.6	8.8	9.4	8.5	7.5	8.5	8.5	8.3	9.2	9.2	8.4	8.4
დეპოზიტები მოთხოვნამდე უცხოურ ვალუტაში, საპროცენტო განაკვეთები	2.7	3.7	4.3	5.9	7.1	5.7	5.4	5.4	5.7	5.7	5.7	5.6	5.6
12 თვეზე უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები	8.0	8.6	9.5	10.6	11.0	8.5	8.6	8.4	8.5	8.4	8.4	8.3	8.4
12 თვეზე მეტი ვადით უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები	10.1	9.8	11.1	11.7	11.5	10.3	10.3	10.1	9.9	10.0	10.0	10.0	9.7
სულ უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები	6.8	7.5	8.3	9.9	9.9	8.0	7.8	7.8	7.9	8.1	8.1	8.1	7.9

1. ლიბერალი პოლიტიკა, რაც უპირველესად გამოიხატებოდა არაპროფილური აქტივების შეძენაში - სამშენებლო ბიზნესი, სადაზღვევო საქმიანობა, საბროკერო საქმიანობა და სხვა);

2. ბანკების მხრიდან წარმოებული საკრედიტო პოლიტიკა თანაბრად მოიცავდა როგორც მაღალი, ასევე შედარებით დაბალი შემოსავლების კლიენტურის ბაზის გაფართოების მიმართულებას, განვადების პრაქტიკის ფართო დანერგვითა და საცალო საბანკო პროდუქტების ფართო შეთავაზებით, რაც მეორე მხრივ კრიზისის კვალობაზე მათ გადახდისუნარიობას ზრდის და პრობლემური სესხების დაბრუნებაში ნეგატიურად აისახება;

3. წინა საკრიზისო პერიოდში წარმოებულმა ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ორიენტირებული იყო უძრავი ქონების ბაზრის მაღალი ტემპებით ზრდისაკენ, სამწუხაროდ, სამშენებლო და განსაკუთრებით დეველოპერული კომპანიების ნაწილის არასწორმა მენეჯმენტმა უკვე დამდგარი კრიზისის პირობებში ამ აქტივებში დაბანდებული ფულის ღირებულების ვარდნა განაპირობა. შესაბამისად, იგი პირდაპირ აისახა ბანკების გარესაბანკო ანგარიშებზე რიცხული აქტივების გაუფასურებასა და დამძიმებაში, რაც მომავალშიც შეამცირებს ბანკების მოგების მაჩვენებელს.

მიგვაჩნია, რომ კრიზისული პერიოდის დასაძლევად

აუცილებელია საბანკო ასოციაციის სტრუქტურული რეორგანიზაცია. ბანკებთან კოორდინაცია უნდა ხორციელდებოდეს ყოველდღიურ რეჟიმში, ხოლო ნებისმიერი საკითხის განხილვა უნდა მიმდინარეობდეს ასოციაციის კომიტეტების ეგიდით წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. ამა თუ იმ მტკივნეული და პრობლემური საკითხის გადასაწყვეტად კონტაქტები უნდა დამყარდეს ყველა დონეზე, ეროვნული ბანკიდან დაწყებული და პარლამენტის შესაბამისი კომიტეტებით დამთავრებული. ურთიერთობები აწყოილი უნდა იყოს საერთაშორისო დონორ და საფინანსო ინსტიტუტებთანაც.

ასოციაციამ წარმატებით განახორციელა რამდენიმე საგრანტო პროგრამა. მართალია, საბანკო სექტორში შექმნილი სიტუაცია შედარებით დასტაბილურდა და შესძლებელი გახდა საბანკო კრიზისის თავიდან აცილება, მაგრამ ეკონომიკის შეკუმშვის პირობაზე კომერციულ ბანკებს პრობლემები ნამდვილად აქვთ. საპროგნოზო გათვლებით კი გლობალურ ბაზრებზე ეკონომიკის რეცესია საშუალოდ ორ წელს მაინც გაგრძელდება, რაც იმას მიანიშნებს, რომ ქართული ბანკებისთვის სესხების ვადაგადაცილებისა და საერთაშორისო ბაზრებიდან ახალი საფინანსო რესურსების მოზიდვის პრობლემები დარჩება, რომელთა აღმოსაფხვრელად საჭიროა დამატებითი ღონისძიებების გატარება.

კომერციულ ბანკებში კრიზისული პერიოდის დაძლევისთვის აუცილებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარება.

– პირველ პრიორიტეტულ მიმართულებად მიგვაჩნია, კრიზისული და პოსტკრიზისული სიტუაციების მართვის მხარდაჭერა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს დღემდე არსებული ურთიერთობების გაღრმავებას საქართველოს ეროვნულ ბანკთან, ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ცნობილია, რომ კრიზისების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ანტიკრიზისული რეგულირების სახელმწიფო პროგრამებს, რომელიც ე.წ. ეკონომიკის სტიმულირების გეგმითაა ცნობილი. ამ სახის სახელმწიფო პროგრამების შემუშავებაში აქტიურად არიან ჩართული როგორც ქვეყნის მთავრობა, ასევე ცენტრალური ბანკები და პარლამენტი. შესაბამისად, საბანკო ასოციაციის ამოცანას წარმოადგენს, ერთი მხრივ, საქართველოს ეროვნულ ბანკთან აქტიური თანამშრომლობის პოლიტიკის შემუშავება და, მეორე მხრივ, ქვეყნის მთავრობასთან და პარლამენტთან ანტიკრიზისული რეგულირების პაკეტში საბანკო სისტემასთან დაკავშირებული ნებისმიერი თანმხვედრი წინადადების ან ინიციატივის მხარდაჭერა ან მსგავსი ინიციატივების საბანკო სექტორის მხრიდან შეთავაზება და მათი ლობირება;

– მეორე მიმართულებად მიგვაჩნია საბანკო სექტორის მძლავრი საინფორმაციო მხარდაჭერა, საბანკო სექტორში მიმდინარე პროცესების გაშუქება და ასოციაციის წევრი ბანკების საქმიანობის პოპულარიზაცია და მხარდაჭერა ბეჭდვითი და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მათთან აქტიური თანამშრომლობის გზით. გასული წლების არცთუ სასიამოვნო გამოცდილებიდან გამომდინარე, კრიზისული სიტუაციები ხშირად გამხდარა ე.წ. შავი პიარის საფუძველი ამა თუ იმ ბანკის მიმართ პრესისა თუ ტელევიზიების გამოყენებით. დღეს შექმნილი სიტუაცია, გასულ წლებთან

შედარებით კიდევ უფრო გამძაფრებულია, რასაც ემატება გაუარესებული სოციალური ფონი და ბანკებში ვადაგადაცილებული სესხების მოსალოდნელი ზრდის ტენდენციები.

– მესამე მიმართულებად უნდა მივიჩნიოთ საბანკო სესხების რესტრუქტურისაციის მხარდაჭერა. კრიზისის დროს სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს პრობლემური სესხები და მათი რესტრუქტურისაციის ამოცანების გადაწყვეტა. ბუნებრივია, როცა ეკონომიკური კრიზისი ზეგავლენას ახდენს თითოეული მოქალაქის შემოსავლებზე და ბიზნესის წარმოების რისკების ზრდაზე, რაც ამცირებს ნებისმიერი მოქალაქის და ბიზნესკომპანიების შემოსავლებს და მათ გადახდისუნარიანობას, სერიოზული პრობლემები ექმნებათ პირველ რიგში საკრედიტო დაწესებულებებს. საბანკო დაწესებულებებისთვის ბიზნესგარემოს გაუარესება აისახება ბანკებში ლიკვიდობის პრობლემებით, პირველ რიგში, გაცემული სესხების უკუგების და მეორე მხრივ, მთლიანად საკრედიტო აქტივობის შეცირების თვალსაზრისით. უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობაზე ზემოქმედებას ახდენს, როგორც მსოფლიო გლობალური კრიზისის ზეგავლენა, ასევე 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგები. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტუალური ხდება კონფლიქტურ ზონებში დარეგისტრირებული იურიდიული პირების და ფიზიკური პირების საბანკო ვალებულებების გადავადების ან სულაც ამ ვალების ჩამოწერის ამოცანების გადაწყვეტა.

მეოთხე მიმართულებად უნდა მივიჩნიოთ იპოთეკური სესხების რესტრუქტურისაცია და ბანკების სამშენებლო კომპანიებთან ურთიერთობის სხვადასხვა ფორმის, მათ შორის საკანონმდებლო ინიციატივების მხარდაჭერა. უნდა გვახსოვდეს, რომ მსოფლიო საფინანსო კრიზისის ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოქმნილი იპოთეკური ბაზრის კრიზისი იყო. საქართველო გამონაკლისი ვერ იქნება, მით უმეტეს კრიზისმდე პერიოდი იპოთეკური დაკრედიტების ბუმის პერიოდს მოიცავს. საბანკო ასოციაციამ მჭიდრო ურთიერთობა უნდა იქონიოს როგორც მენაშენეთა ასოციაციასთან, ასევე თავადაც უნდა გამოვიდეს ამ მიმართულებით მთავრობის მხრიდან ნებისმიერი წინადადების ან ინიციატივის მხარდასაჭერად.

– მეხუთე მიმართულებად უნდა მივიჩნიოთ საგადასახადო კოდექსში შესატან ცვლილებებზე მუშაობის გაგრძელება. ცნობილია, რომ ბოლო წლებში საგადასახადო კოდექსში ბევრი და საბანკოს სექტორისათვის მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ რჩება ბევრი გადაუჭრელი საკითხი. კომერციულ ბანკებს ჯერ კიდევ აქვთ გადაუჭრელი პრობლემები იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის თვალსაზრისით, რაც ამცირებს საბანკო რესურსებს და საფრთხის ქვეშ აყენებს საკრედიტო პოლიტიკის საიმედოობას.

– მეექვსე მიმართულებად მიგვაჩნია საბანკო კადრების სწავლებისა და გადამზადების პროცესში აქტიური მონაწილეობის მიღება. საბანკო ასოციაცია აწარმოებს მოლაპარაკებებს საბერძნეთის ბანკების ასოციაციასთან და გერმანიის შემნახველი ბანკების ასოციაციასთან ჩვენი ასოციაციის საბანკო ტრენინგ ცენტრის ბაზაზე

ტრენინგების ჩატარების თაობაზე ბანკების საშუალო და უმაღლესი მენეჯმენტისთვის. თანამშრომლობა ასევე უნდა მოიცავდეს საერთაშორისო საბანკო და საფინანსო ლიტერატურის თარგმანს და გამოცემასაც.

გარდა ამისა, საზი უნდა გაეცემა კომერციული ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის შეფასებას. ბანკების საიმედოობისა და მდგრადობის შეფასების უმთავრეს ფაქტორად საბანკო კაპიტალი ანუ ბანკის საკუთარი სახსრები მიიჩნევა. შესაბამისად, კაპიტალი, როგორც საკუთარი საფინანსო რესურსი, განსაზღვრავს ბანკების უნარს დაკრედიტებაზე და რისკების ნეიტრალიზაციაზე, რაც პირდაპირაა დაკავშირებული ნდობის ფაქტორზე მენაბრებისა და კრედიტორების მხრიდან, წარმოქმნილი ვალდებულებების გასტუმრების უნარის თვალსაზრისით. საზი ესმება იმ გარემოებას, რომ მიუხედავად გლობალური კრიზისის ზეგავლენისა ქართულ ეკონომიკაზე საქართველოში მოქმედ ბანკებს აქვთ ძლიერი კაპიტალის ბაზა – ბანკის საზღვარსგარეთ კაპიტალის აღეკვეთების კოეფიციენტი ანუ კაპიტალის თანაფარდობა რისკების მიხედვით შეწონილ აქტივებთან, ეროვნული ბანკის მოთხოვნის თანახმად, მინიმუმ 12%-ს უნდა შეადგენდეს. საშუალოდ საბანკო სექტორში მისი მაჩვენებელი ამ ნორმატივზე მაღალია. სწორედ საკუთარი სახსრების საკმარისობა უზრუნველყოფს საბანკო რისკების შემცირებას და სრტაბილურ დაფინანსებას.

აღსანიშნავია საქართველოს საბანკო სექტორის ლიკვიდურობის მაღალი მაჩვენებელი. საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნის თანახმად, ლიკვიდურობის მაჩვენებელი ვალდებულებების 20%-ს უნდა შეადგენდეს. ლიკვიდურობის საშუალო მაჩვენებელი საბანკო სექტორისთვის (30%-ს) შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ 20%-ს.

საბანკო სისტემის მდგრადობისა და ლიკვიდობის ასამაღლებლად საჭიროა ბანკების რეფინანსირება საკრედიტო რესურსებით, ხოლო ეკონომიკის სტიმულირებისათვის მისი მაჩვენებლის დაწევა. დამატებით, ფინანსური ზედამხედველობის სააგენტომ მკაცრი მონიტორინგი უნდა გაუწიოს ბანკების ლიკვიდურობასა და რისკის მაჩვენებლებს.

საბანკო სექტორის განვითარებისთვის ასევე მნიშვნელოვანია დეკლარაციის მიღება კომერციული ბანკებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსზე მიერთების შესახებ. რადგან დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ხელისმომწვერი კომერციული ბანკები უერთდებიან “კორპორაციული მართვის კოდექსს კომერციული ბანკებისთვის”, იზიარებენ ამ კოდექსით გათვალისწინებულ ნორმებს და გამოხატავენ კარგი კორპორაციული მართვის პრინციპებისადმი ერთგულებას; გამოხატავენ მზადყოფნას შეასრულონ კოდექსით გათვალისწინებული დებულებები. კოდექსი ნებაყოფლობითია და კორპორაციული მართვის უფრო მაღალ სტანდარტებს აწესებს, ვიდრე ეს ქართულ კანონმდებლობაშია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბანკები,

რომლებიც მიიღებენ ამ კოდექსს, მზადყოფნას გამოთქვამენ, დაამკვიდრონ კორპორაციული მართვის მაღალი სტანდარტები, რაც მათ ინვესტორთა ნდობის მოპოვებაში დაეხმარებათ.

Nino Adamashvili

SUMMARY

Bank activities like any other commercial activities need to be regulated by the government not only during the crisis period but in everyday life. However, the need of governmental regulation and its role is increasing in the period of crisis.

The paper refers to the basic principles of bank regulation and analyzes statistical data of commercial banks various instruments. The article considers the issues for overcoming the crisis period in commercial banks and for comparison describes their functioning in non-crisis periods as well.

In conclusion, for commercial banks stable functioning banking activities should be supervised and regulated in the crisis period that provides the reliability and sustainability of commercial banks, thus avoiding the risk and in this way securing the interests of commercial banks depositors and other creditors and Georgian Financial Supervisory Agency as well. However, it should be noted that any kind of government intervention is inexpedient and will not improve or maintain development of bank sector in general. Hence the right state policy is needed.

ლიტერატურა:

1. ლ. ლუღუშაური, კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი, თბილისი 2007 წ.;
2. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ; https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmss&search&view=docView&id=32962
3. დებულება კომერციული ბანკების კაპიტალის აღეკვეთურობის მოთხოვნის შესახებ, https://docs.google.com/a/gtu.ge/viewer?a=v&q=cache:aKm-nrxrK7YJ:www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/supervision/nbg1.4.5.1capital_adequacy_geo.pdf+&hl=en&gl=ge&pid=bl&srcid=A D G E E S h Q C - o b R k t 4 6 o r V 8 x R m k _ 3 - j R P j u v L l q Z T e n u J p E F Q l h h n i H i n z - U q 9 B N r M a c n L _ c Y x g i B u l y v w M Y b k 2 - s 9 R V W _ O L C Z K n D d w H k 8 c M O Z 3 1 k K L I S 7 0 J o 3 9 Z m 0 w P L 4 T - 7 a U w 7 Y q M c a & sig= A H I E t b R 7 3 b t 3 a 6 6 D U a y 2 T p 7 p 9 A 8 w O C f D c A
4. www.nplg.gov.ge;
5. www.geostat.ge.